



ყერი წვთვმე ლრძელი

[ირტილა, 1046 წ.]

სიტყვს-გაბა სოსთენის მიმართ, სომეხთ მოკლურისა\*

ამთა უკუე იმრთის-მსახურისა მეფი-  
 სა **ჲაგრატისთა** იქმნა კუალად კრებაჲ  
**ირტილას**, არა ვიდრემე სამლდელო,  
 არამედ უფროხსად სამვედრო.

სყო ვინმე მონაზონი, ნათესავით სომეხი,  
 მოძღუარი და წინამძღუარი სჯულისა მათისა,  
 სახელით **სოსთენი**, კაცი უკუე ენა-მანქანა და  
 ფრიად მეცნიერი წერილთა და სარწმუნოები-  
 სა მათისა ურწმუნოხსა და განდრეკილისა. **ს**ე  
 უკუე ჩუეულებისაებრ მოვიდა **ჲაგრატ** მეფისა  
 და იწყო ზუაობით და ამპარტავნებით ქებად  
 სჯულისა თვსისა, ხოლო გმობად და ძაგებად  
 სარწმუნოებისა ჩუენისა. **თ**ა მას ჟამსა არ-  
 ავინ იპოვა სიტყვს-მგებელი ძლიერი, გარნა  
 ვიეთნიმე ეზრახნეს მცირედ რამე, რომელ-  
 ნიმე დახუდეს **შელქაძე** წურწყაბელი, **სანანო**  
**ყუელელი**, **სრიგოლი** **სბუსერიძე**, **საბრი-**  
**ელ** **აკისძე** ვინმე, გარნა ვერ წინა-აღუდგ-  
 ეს უმეცრებისათვს წიგნთა მათთასა. **შ**აშინ  
 ნეტარმან **დავით** **ჯიძისძემან** ჰრქუა მეფესა:

– «ჰოჲ, მეფეო მტკიცედ მპყრობელო, ესე  
 უწყოდე, რომელ უღონო არს ჩუენგან სიტყვს-  
 გება ყოვლად **სოსთენისი**, არა თუ მოუნოდო  
 აქა **წვთვმე ლრძელსა**».

სრქუა მეფემან **დავითს**:

– «სადა არს იგი სამეფოსა ჩემსა?»

შიუგო **დავით** კუალადცა მეფესა:

– «მესმა, ვითარმედ მოსრულ არს ანლა  
**სერუსალიმით** და იმყოფების ეზოსა თანა  
 მთავარ-ეპისკოპოსისასა, **სწწს**».

ხოლო ვითარცა ესმა ესე მეფესა, ფრიად  
 განიხარა და მყის მოუნოდა მთავარ-ეპისკო-  
 პოსსა, რადთა მიიყვანოს ბერი წინაშე მათსა.  
 ხოლო მთავარ-ეპისკოპოსი მეყსეულად მოვ-  
 იდა ბერითურთ წინაშე მეფისა. **თ**ა ვითარცა  
 მოვიდა პალატად, იყო ჟამი მწუხრისა. ხოლო  
 მეფემან მცნობელმან მყის მოუნოდა პალა-  
 ტად.

შაშინ ჰკითხა ვისმე ბერმან, ერთსა საკუ-

თართაგანსა მეფისასა, სახელით **სრშუმას**,  
 რომელი იყო ძმა მთავარ-ეპისკოპოსისა, ვი-  
 თარმედ:

– «რად უკუე არს წოდება ესე ჩემი?»

ხოლო მან მიუგო:

– «დიდი მოძღუარი **სომხეთისა სოსთე-**  
**ნი** მოვიდა დისწულისა მისისა თანა და გა-  
 მოძიებასა ჰყოფს წინაშე მეფისა სჯულისათვს  
 ჩუენისა და მათისა და ვერავინ წინა-აღუდგა  
 მას. **ს**მის უკუე ჯერისათვს იქმნა მოწოდება  
 შენი სასოებითა **შენ-მიერისა ძლევისადათა**».

ხოლო ბერი ამას ზედა ფრიად რამე შეზ-  
 რუნდა: პირველად – უცხოებისათვს და მერმე  
 – განუმზადებლობისათვს თვნიერ წიგნთადასა,  
 და გამოისახა სახე **ჯუარისა** პირსა თვსსა  
 და გულსა და შეიმთხვია **სპისტოლე** **აფლი-**  
**სა**, რომელი მიუნერა ჴელითა თვსითა **სვა-**  
**როზ** მთავარსა და აღიხილნა ზეცად თუალნი  
 გონებისანი, სულთ-ითქუნა სულითა და თქუა:

– «**აფალო**, **სესო** **ჯრისტე**, **იმერთო** ჩუენო,  
 თანა-არსო და თანა-სწორო შამისა და წმიდი-  
 სა სულისა ჴენისაო, **ქომელმან** განგებულე-  
 ბითა ჴენითა **ჯორცთ-შესხმისა** ჴენისადათა გან-  
 აგე ცხორება ჩუენი, **ქომელმან** უბრძანე ქა-  
 დაგთა ჴენთა **შოციქულთა** მათ წმიდათა და  
 მთავართა: «სახელისა **ხემისათვს** ნუ წინასწარ  
 ინურთით, ვითარმედ რად სთქუათ, ანუ რად  
 სიტყუად მიუგოთ, რამეთუ მოგვცე თქუენ პირი  
 და სიბრძნე, რომელსა ვერ უძლონ წინა-აღდ-  
 გომად და სიტყვს-გებად ყოველთა წინა-აღდ-  
 გომთა თქუენთა»(ლკ.21,14-15), და აჰა მივჴყავ  
 მე სიტყვს-საგებელად სამსჯავროსა ამას და  
 არა უწყი, რად ვთქუა, ანუ რადსა ვიტყოდე,  
 არამედ ჴენ მასწავე, ჰოჲ სახიერო, აღთქუ-  
 მისა ჴენისაებრ უტყუელისა და ნუ იყოფინ,  
 ვითარცა უმეცრებისა ჩემისა მიერ შეურაცხ  
 იქმნას სიმტკიცე მართლისა აღსარებისა ჴენი-  
 სა წინაშე ურწმუნოთა».

შმას ილოცვიდა ბერი მგზავრ და შევი-

\* ლიტერატურული ძიებანი, ეძღვნება აკად. **ს. ჲარამიძეს**, თბ., 1983. **სვ. 278-287**. ტექსტი დასაბუქდად მოამზადა ივ. **ზოლაშვილმა** // საქართველოს სამოთხე, გამც. **სოპრონ** (მიხეილ) საბინინი, პეტბ., 1882. **სვ. 615-621**.

და წინაშე მეფისა. **ჰოლო** მეფემან მოიკითხა ჯერისაებრ და უბრძანა დაჯდომა წესისაებრ. შაშინ აღილო პირი თვისი **სოსთენი** და ჰრქუა მეფესა:

– «ესე უკუე არსა, რომელი მოიყვანე, სიტყვს-მგებელი ჩემი?»

ჰიუგო მეფემან:

– «ჰე, ეგე არს უეჭუელად!»

ბუალად ჰრქუა **სოსთენი**:

– «უკუეთუ არს ვინმე სამეფოსა შინა შენსა, მოუნოდე უკუე ყოველთავე სჯულის-მეცნიერთა შენთა, რათა ყოველნივე ერთბამად ვითარცა ცოცხითა მოვგავნე, და მაშინ გაუნყო ძალი სარწმუნოებისა ჩუენისა და უძლურებად თქუენი. ნა კუალად ამასცა ვითხოვ მეფობისა თქუენისაგან, რათა ბრძანება დასდვა ესრეთ: უკუეთუ მე ვიძლიო სჯულის-მეცნიერთა შენთაგან, შიშველი განმიყვანონ პალატით შენით, ხოლო უკუეთუ იგინი იძლივნენ ჩემგან, განძარცვილ-შიშველნი განავლინენ პალატით შენით».

ჰოლო ჰრქუა მას მეფემან ყოვლითა სიმშვიდითა:

– «სიტყვს-გებასა უკუე საღმრთოესა სჯულისასა და შართლისა სარწმუნოებისასა არა ვიდრემე ჯეროვან მიჩნს საქმე ხუმართა და მახიობელთაჲ. სრამედ ყოვლითა დანყნარებითა გვლირს გამოიძიება საღმრთოესა სჯულისა და შართლისა სარწმუნოებისა განრჩევად ლუარძლისაგან წვალებისა».

შაშინ უკუე იყო მნიგნობართ-უხუცესი მეფისა, სახელით **სფთვე**. ჴიცა თანა-ზიარი ბოროტისა მის წვალებისა მათისა და შინა-განმცემი სარწმუნოებისა ჩუენისა. შმან აზრახა **სოსთენს** ესრეთ, ვითარმედ:

– «ბერისა ვიდრემე სიტყვს-გებადმდე ცუდითა რაჲთმე სიტყვთა შეაშინე, მსოფლიოთა და გარეწართა, და განკიცხე ბერი, ვინათგან უდაბნოთა შინა აღზრდილ არს და მუნ არს ცხორება მისი. სრარაჲ იცის კაცობრივი სიტყვს-გებაო».

შმას ფარულად ყურსა **სოსთენისსა** ჰზრახვიდა მნიგნობართ-უხუცესი და **სერემია**, დისწული მისი. შაშინ იწყო **სოსთენი** სიტყუად ბერისა ესრეთ:

– «პირველად უკუე მნებავეს, მამაო, თუ ვითარ მოინიე აქა, ანუ რომელი გზა ვლევ? ანუ პირველსა მას დღესა, ოდეს გზად გამოხვედ, რაჲ ჭამადი ისერე, ანუ რომელსა ჟამსა

დღისასა ანუ სადა სავანე ჰყავ? ანუ მეორესა მას დღესა ვითარ შეგინყნარეს, ანუ რაჲოდენი ფერი ჭამადი დაგიგეს? ანუ რაჲოდენი ჟამი ღამისა დაიძინე, გინა რაჲოდენი გელვიდა? ანუ რაჲოდენი ჟამი დღისა მიეც სლვასა, ანუ რაჲოდენი განსუენებასა? ანუთუ რაჲ იყო წურთა გონებისა შენისა, ანუ რაჲსა იგონებდი სლვასა შინა? ანუ რაჲოდენი უფროესი ჟამი წარიტაცა დაყუდებამან გონებისამან, ვიდრელა მიმოსლვამან და განბნევეამან? ანუთუ რაჲ სიტყუა აღმოსთქვ უპირატეს, მო-რაჲ-ხვედ მეგობართა შენთასა, ანუ თუ მათ რაჲ პასუხი მოგცეს, მო-რაჲ-გიკითხვიდეს?»

შაშინ ჰრქუა ბერმან:

– «იტყვს ნეტარი **სავლე** შოციქული: «ოდეს ვიყავ ყრმა, ვიტყოდე ვითარცა ყრმა, და შერაცხილ ვიყავ ყრმათა თანა, ხოლო ოდეს ვიქმენ მამაკაც სრულ, დაუტევე სიყრმისა იგი» (1კორ.13,11). ჴე, ვითარცა შენ იტყვ, პაპა, ვეგით მღერებაჲ სიყრმესავე ჩემსა დამიტევებიეს და ან ვხედავ შენთანა ჰასაკსა სრულსა, ხოლო სიტყუასა და გონებასა ყრმებრივსა. **ჰოლო** მე არა შენისა სიტყვსაებრ და სიციბილისა განმრყუნელისა სიტყუად გიგო, არამედ ჩემისა ჭეშმარიტებისაებრ: მე უკუე პირველად მოვალ წმიდით ქალაქით **სერუსალიმით**, აღსადგომელით ოფლისაჲთ, საყდრით წმიდისა **საკობ** შოციქულისა, ძმისა უფლისა, და მიერ – **სნტიოქით** და **სრომით**, საყდრით წმიდისა **სეტრე** შოციქულთა თავისაჲთ, და მერმე – **სლექსანდრიით**, საყდრით წმიდისა **შარკოზ** შახარებელისაჲთ. შმათ საყდართა საპატრიარქოთაგან მოვალ და წმიდათა ექუსთა ღრებათაგან შართალი სლსარება მომიღებიეს და მტკიცე და ჭეშმარიტი მცნება და სარწმუნოება მისწავიეს და ან მოსრულ ვარ, რათა ვამხილო ბოროტად მადიდებლობასა თქუენსა. **ჰოლო** შენ ვინაჲ მოხვალ, არა უწყი. **სრგინაით** და **შარმაშენით** მოხვალა? და მოგაქუს წვალება **ჩესტორისი** და **სევეროზისი** და **სეტროზ შკანრველისა** და იკადრებ ყუედრებად ერსა იმრთისასა და წინა-განწყობად წმიდასა შართალსა სარწმუნოებასა?»

შაშინ აღივსნეს მეფე და მთავარნი სიხარულითა, თუ ვითარ პირველსავე ზედა მიეცა ძლევა სიხარულისა და სასოებისა. **ჰოლო** უგუნურნი იგი დაიწსნნეს და თვისთავე მახვლითა შეიპყრნეს და ფრიად აბრალეს განზრახვასა თვისსა და რეცა განცხრომად შეცვალეს

სიტყუად იგი მათი. **ბა ჰრქუა სოსთენი ბერსა:**  
– «შენდობა უკუე ყავნ, მამაო, განცხრომით თქმულისა ამის სიტყუსათვს. **სნ უკუე აღსდეგ და მოირტყენ წელნი შენნი და წარმოსდეგ! შე უკუე გკითხვდე, ხოლო შენ მომიგებდე».**

**ჰიუგო ბერმან და ჰრქუა:**

– «არა ვიდრემე ეგრეთ განაგო ჭემმარიტე-ბამან იმრთისამან, რაათა შართლ-მადიდე-ბელნი წინაშე მწვალებელთასა წარვიდგინეთ, არამედ შენ წარმოდგე უფროდსა, ვითარცა განსაკითხავი და დასასჯელი. **ქამეთუ ესრეთ არს წესი, რომელ: მეფენი თქუენნი წინაშე ჩუენთა და მდდელთ-მოძღუარნი მდდელთ-მოძღუართა და მთავარნი მთავართა შიშით და ძრწოლით წარმოდგებინ და შევრდომით თაყუანის-სცემენ, და უკუეთუ არა გნებავს, ვსხდეთ აქა და შენ მკითხვიდე და მე მოგიგებდე.**

**ჴინყოთ ჩმიდათა ჩერილთაგან, ვინყოთ სდამისითგან ჩოესამდე და ჩოესით ვიდრე სბრაჰამისამდე, ხოლო სბრაჰამისითგან ვიდრე შოსესამდე და შოსესით ვიდრე ჴრისტესამდე და ყოველივე გაუნყო შენ. ჴინყო წმიდისა ერთ-არსისა სამებისა და ჴრთ-ღმრთეებისა და წმიდათა სამთაგანისა, ჴრისტეს იმრთისა ჴანკაცებისა და ჴანგებულებისა და სასწაულთა მოქმედებისათვს, ორითა ბუნებითა, ორითა საქმითა, სრულითა იმრთეებისა და კაცებისათა, ვითარ-იგი წინანარმეტყუელთაგან იქადაგა და მოციქულთაგან გუეუწყა განცხადებულად და ჰრწმენა სოფელსა და წმიდათა მდდელთ-მოძღუართაგან დამტკიცდა ღრებითა შსოფლიოთა, რომელთა თანა თქუენცა ზიარ იქმენით, ვიდრე მეოთხედ ღრებადმდე.**

**ჴოლო რაჟამს-იგი განეცით მეფე თქუენი და ქუეყანა სპარსთა და განსდეგით ბერძენთაგან და შეერთენით სპარსთა დღეთა ჴუასროსთა და ძისა მისისა საბურისთა და შეჰკრიბეთ კრებად ოვინს და დასწიბეთ განდრეკილი სარწმუნოებად განზრახვითა სბღიბასითა, რომელი იყო ვეზირი სპარსთა მეფისა წვალეებისაგან საკობ ჴრტანელისა, რამეთუ ესრეთ აზრახა სპარსთა მეფესა, რაათა დაუტეოს ცეცხლისმსახურებად და სომეხთა დაუტეონ სჯული ბერძენთა, რომელი-ესე იქმნაცა განზრახვითა და თანაერთნება-ქმნითა კათალიკოსისა თქუენისა ჩერსესისთა, რომელი წუერთა იღებვიდა ოქროთა, და იკონომოსისა**

მისისა **სერგისისთა**, რომელი მითვე წვალეებით შეჰპრობილ იყო.

**ბა ესრეთ აღასრულეთ ნება ეშმაკისა და მომადლებისათვს ერისა განუწყენით მარხვათა შაბათ-კვრიაკენი წუელითა და ყუელიერსა ჴორცი და ესრეთ ერთ იქმენით სპარსთათანა. ბა კუალად გაუნყო ჩიგნთაგან თქუენთა, რომელი ვითარ-იგი წერილ არს ხილვათა შინა ჴრიგოლი ჴანმანათლებელისათა, რომელსა-იგი გამოუცხადა იმერთმან მყის გარდაქცევა თქუენი, რეცა სამწყსოდა მისგან ცხოვართადა, წყალთა მათ შინა და შავებისათა სახე-თიკანთა მრუმედ შეცვალეებითა; და კუალად წმიდისა საჰაკისა ჩუენებათაგან, რომელი ევედრებოდა იმერთსა ნათესავისა თვისისათვს, თუ ოდეს იყოს მოფენად ნათელი წყალობისა თვისისა და კრებად ბნელი წვალეებისა, რომელსაცა მოეცა ქარტა ორბისა მიერ და დანერილ იყო რიცხვ წელთა ფსანთა, რომელთა შინა ეუფლოს ბნელი წვალეებათა და მერმე აღმობრწყინდეს ჩრდილოთ მთავარი იგი დიდი უწყებით ტომისაგან შავითისა და აღორძინდეს სულითა იმრთისაათა და განაარჩიოს ყოველი ბნელი წვალეებისა, რამეთუ უწყი მე ყოველი პატმოთინისა თქუენისაგან».**

**სრქუა სოსთენი ბერსა:**

– «წყეულ იყავნ, რომელმან გასწავა შენ პატმოთინი და აღგჭურა მით ბრძოლად სარწმუნოებისა ჩუენისა».

**ჰიუგო ბერმან: – «წყეულ იყავნ სეტროზ შკანრველი, რომელმან გასწავა ხაჩეცარი და გასწავლა გალობა სამწმიდაარსობისა».**

**სრქუა სოსთენი:**

– «ვითარ უკუე განიწვალეების სიტყვთა მაგით გალობა სამწმიდაარსობისა?»

**ჰიუგო ბერმან:**

– «წერილთა, რომელთა ვერ გულისხმა-ჰყოფთ და ფრიად სცთებით უგულისწმოებითა». **ჴუალად მიუგო ბერმან:**

– «მაგის პირისათვს გაუნყოთ ჩმიდათა ჩერილთაგან. სირველად უკუე ჩმიდათა ღრებათა, რომელნი ადგილ-ადგილ იქმნეს გარდაქცევისა თქუენისა და მერმე შემდგომთა შამათა ფრიად შეაჩვენეს სიტყუა იგი და გიობად შერაცხეს, რომელმან მეოთხე პირი შემოილო და თვსაგან განყო ძე იმრთისა, გუამოვანი იგი ძალი შამისა, და თვსაგან ჴუარ-ცმულ ყო, ვითარცა სხუა იყო ძლიერისაგან კიდე, ანუ ვნებულად შერაცხა უკეთურმან მან ძისა თანა და სული

წმიდა. წარვედინ მგმობარი იგი მომზრახეობა მისი და შეჩვენებულ იყავნ!

ჴოლო ჩუენ «წმიდაო იმერთო» შამასა ზედა ვიტყვო, არა თუ შას მივაჩემებთ სახელსა იმრთეებისასა; არამედ იმრთად ჭეშმარიტად ვიცით ძეცა და სული წმიდაჲ. «წმიდაო ძლიერო» ძესა ზედა ვიტყვო, არა თუ ძლიერებისაგან განვაყენებთ შამასა და ძესა. «წმიდაო ოკუდავო» წმიდისა სულისათჳს ვიტყვო, არა თუ უკუდავებისაგან განვჳყოფთ შამასა და ძესა. ჩუ იყოფინ! სირველად თითოეულსა ამის სამებისა ჴუამთა ზედა იმრთივ-შუენიერთა ამათ სახელთა გულისჴმა-ვჳყოფთ და მოძღურებათა შეუდგოთ **სავლე** შოციქულისათა, რომელი იტყვს ჩუენდა: «ერთ არს იმერთი შამა, ჴომლისაგან ყოველნი, ერთ არს ოფალი ჴესო ჴრისტე, ჴომლისა მიერ ყოველნი, ერთ არს სული წმიდა, ჴომლისა ძლით ყოველნი»(1კორ.8,6).

ნა ესრეთევე **იმრთის-მეტყველი ჴრიგოლი** გუასნავებს იმრთის-მეტყუელებასა შინა: «და საცნაურ უკუე იყავნ, რომელი-იგი თქუა შამისათჳს «ჴომლისაგან ყოველნი» და ძისათჳს «ჴომლისა მიერ ყოველნი» და სულისა წმიდისათჳს «ჴომლისა ძლით ყოველნი»», არა ჴუნებით განჳკუეთს, ვითარ თქუენ იტყვო, არამედ მებრვე მრავალგზის შესცვალებს იგი შოციქული ამას სიტყუასა და რამეთუ ან შამისათჳს თქუა, სხუაგან იტყვს ძისათჳს და სულისა და, რომელი ძისათჳს თქუა, სხუაგან იტყვს შამისათჳს და, რომელი წმიდისა სულისათჳს თქუა, სხუაგან იტყვს შამისათჳსცა და ძისა და ესრეთ გამოსახავს ერთსა მას ჴუნებასა და შეურევენელთა თვთებათა. ნა ესე საცნაურ არს, ვითარცა წმიდა **ღრიგოლი** იტყვს, ერთად ვიდრემე შეკრებებიან სახენი ესე, ვითარცა თვთ იგი შოციქული იტყვს, ერთობით. ჴინ ცნა გონება ოფლისა, ანუ ვინ თანა-მზრახველ ეყო შას, რამეთუ შისგან არს ყოველივე და შის მიერ და შისსა მიმართ, შისა დიდება უკუნითი უკუნისამდე. წმინ.

ნა ესეცა საცნაურ არს, რომელ: არა ძისა მიერ ოდენ ითქმის სამწმიდაობა, არამედ წმიდისა სამებისა მიმართ, ვითარცა წამებს დიდი და იმერთშემოსილი **წთანასე**, და ნეტარი **ჴასილი** და **ღრიგოლი** და ყოველნი წმიდანი შამანი ესრეთ წამებენ, რომელ: სამწმიდაობითა გალობითა წმიდისა სამებისა ჴუამთა გამომისახვენ ჩუენ წმიდანი **სერაფიმი**, ხოლო

ერთობითა უფლებისადათა წმიდისა ერთარსისა სამებისადათა შეუფებასა და იმრთეებასა შემამეცნებენ ჩუენ. **იტყვს** იმრთის-მეტყუელი **ღრიგოლი**: «ერთ არს წმიდა იგი წმიდათა, რომელსა **სერაფიმი** დაეფარვიან და შიშით ადიდებენ სამწმიდაობით, რომელი ერთად შემოკრებების ოფლებად და იმრთეებად».

ნა ესე გალობაჲ პირველითგანვე წმიდათა შამათაგან განწესებულ არს: «წმიდაო იმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო ოკუდავო, შეგვწყალენ ჩუენ!» ამას გალობასა საკრველი **წავით** წინაასწარვე მეცნიერ იყო სულითა წმიდითა, ვითარმედ ახალსა ამას ჴელესიასა და ერსა იმრთისა მსახურსა აღსრულებად არს. წმისთჳს იტყოდა: «სურინ სულსა ჩემსა ჴენდამი, იმერთო ძლიერო და ცხოველო!» და ცხოველი და ოკუდავი ერთ არს. **სხედავა**, ვითარ კეთილად მოასწავა «წმიდაო იმერთო»-სა წესი სულითა წინაწარ-მეტყუელებამან და სურვიელ ყო სმენად ამის გალობისა!

ჴოლო გამოაცხადნა საკრველებითა ზეცისა მჳედრობათაგან «სამწმიდა» ესე გალობაჲ, ვითარცა წერილ არს, საეკლესიოთა მოსაჴსენებელთა ესრეთ, ვითარმედ: დღეთა **სროკლე ჴონსტანტინეპოლელ** პატრიარქისათა ძრვა იყო დიდი და მარადლე იძროდა სამეუფო იგი ქალაქი. ნა ყოველი ერთი განვიდა ლიტანიობად და ლოცვასა მას შინა აღიტაცა ერისაგან ყრმა მცირე და ისწავა ანგელოზთა მეტყუელთაგან «სამწმიდა» ეს გალობა: «წმიდაო იმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო ოკუდავო, შეგვწყალენ ჩუენ!» – და ესრეთ მო-რად-იქცა ყრმა იგი დასწავლული, ესე მიუთხრა პატრიარქსა და ყოველსა ერსა. ჴოლო პატრიარქმან ვმა ყო გალობაჲ ესე სამწმიდაობისა და მეყსეულად დასცხრა ძრვა იგი.

წნ უკუე არა ფრიად საცინელ არსა, უკუეთუ ვინმე ესე გალობა შეცვალოს? რომელსა **სერაფიმი** გალობენ და ვმითა ანგელოზთადათა სმენილ არს და სასწაულითა ამით სარწმუნო ქმნილ არს, წინაწარმეტყუელთაგან ქად-აგებულ არს, მოციქულთაგან დამტკიცებულ არს და წმიდათა მღდელთმოძღუართა და კრებულთაგან განცხადებულ არს ყოველთად და ამათ ყოველთა მიერ ჩუენდა დამტკიცებულა, ვითარმედ: წმიდისა სამებისა მომასწავებელი არს და შისსა მიმართ ითქუმის.

წნ უკუე ვინ იყოს ესეოდენ ცნობისაგან გამოჴუებული, რომელმანცა ამათ ყოველთა

წესი და მოძღვრება დაუტევა და მოძღვრებასა შეუდგა **სეტროს შკანწველისასა!** სოჲ, დიდი ესე სიცოფე და უგუნურება! **ქოლო** ჩუენ ესევეითართა ამათ, რომელთა «**წმიდაო იმერთო**»-სა თანა «**ჯუარცუმად**» თქუა, ანუ 5 სამებასა ოთხობა შემატონ, ფრიად შევაჩვენებთ და ეშმაკთა თანა შევრაცხთ და გალობასა ამას შართლმადიდებლითა ენითა და გონებითა ესრეთ ვიტყვთ: «**წმიდაო იმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო ოკუდავო, შეგვწყალენ ჩუენ!**».

შაშინ ჰრქუა **სოსთენის** დისწულმან მისმან **სერემია:**

– «გუალე, წარვიდეთ, რამეთუ ვიდლიენით!»

**ქოლო სოსთენი** იწყო კუალადცა ცილობად ბერისა და ქებად მოძღვრებასა **სეტროზისსა.** **ქოლო ბერმან** თქუა:

– «სამართლად უკუე და ჯეროვნად განიდეგნა და შეურაცხ-იქმნა და დაემხუა უკეთური იგი პატივისაგან მღდელთ-მოძღვრებისა მსახურთაგან **სკლესიისათა** საკურთხეველით ჟამსა **ოსისხლოსა შსხუერპლისასა,** ვინათგან დაიდუმა უმეტესი არსი და არა აღიარა იმრთისმშობლად ყოვლად წმიდა ღალწული **შარიამ,** რამეთუ უსჯულოჲსა **ჩესტორისაგან** ესნავა უკეთურსა და მიერ მოვიდა რაჲ ქუეყნად თქუენდა, აღავსო ბოროტითა წვალეებითა და შეაცთუნა ერი იგი უსწავლელი. ზინაჲცა შეჭურა იმერთმან **შიქაელ ღართლის** კათალიკოსი, ვითარცა ოდესმე **წავით** წინანარმეტყუელი **სოლიათსა** ზედა, და ბევრეულთა და ათასეულთა მისთა შედგომილთა შორის ქვითა განტვნა იგი და ვერავინ იკადრა რგებად მისდა, ვერცა განძრვად ჯელისა შართლმადიდებელთა ზედა. **სრეთ** დიდი ზარი და სირცხვილი და შეურაცხება მიეფინა სიმრავლესა და კრებულსა **სეტროზ შკანწველისასა.** **ქოლო** მათ შეერაცხა სამართლად, ვითარცა ოდესმე მსაჯულსა **წინეზს** და დიდსა **სამოელს** და მოშურნესა **სლიას,** რამეთუ ერთმან **ხამბრი** და **შოაბიტის** მდიდარსა თანა მსიძავი იგი განლახურნა, ხოლო მეორემან **სგოგი** მეფე მოაკუდინა და მესამემან მღდელნი იგი სირცხვილეულნი დაკლნა. **სგრეთვე** ნეტარმან **შიქაელ** და კრებულმან 45 მისმან საღმრთომან უკეთური იგი დაქოლეს, რომლისა სასწენებელი უკუნისადმე».

შაშინ აღდგა **სოსთენი** და ენება გამოსლვა. **ქოლო ბერმან** ჰრქუა:

– «არა განგიტეო, ვიდრემდის არა სრულიად უსიტყუელ გყო. **წა** აღიარო უძღვრებათუკი, ვინათგან ესეოდენტა წელთა დადუმებული შორის სამსჯავროთა და წინაშე მეფეთა და მთავართა სიტყვს-ყოფად მაიძულე».

მაშინ იწყო ბერმან თაყუანისცემისათეს პატიოსანთა ხატთასა წამებითა **წმიდათა წერილთაჲთა** და ფრიად აბრალა შერევისათეს **წმიდათა შარხვათასა შაბათ-კვირიაკეთა** და **სლაჯორთა** მარხვისათეს და ყუელიერსა ჯორცის ჭამისათეს და თევზსა და ღვინოსა წველასა თანა შერაცხვისათეს უსიტყუელ ჰყო ყოველთა უბადრუკი იგი.

**ქოლო მეფემან** ჰრქუა:

– «**სოსთენ,** გაქუსლა რაჲ სიტყუად ჩუენდა ანუ სრულიად იძლიე?»

**შიუგო სოსთენი** მეფესა:

– «მე არა თუ კაცისაგან ვიდლიე, არცა ძლეულ ვარ, არამედ ჭეშმარიტებისაგან».

**სუალად** ჰრქუა მეფემან **სოსთენის:**

– «რად არა მოიქცევი?»

**შიუგო სოსთენი:**

– «**შარმაშენი** ვითარ დაუტეო?»

**ქოლო ჰრქუა მეფემან:**

– «მის წილ ჩუენგან მიიღე».

**შიუგო სოსთენი:**

– «ეგეოდენ არა ადვილად დატევებულ იქმნების ჩემგან **შარმაშენი**».

შაშინ ჰრქუა ბერმან **სოსთენის:**

– «ან გარდაიწადე აღთქუმული იგი შენი პირისაგან შენისა და განვედ შიშუელი საფარველისაგან ჯორცთა შენტასა, ვინათგან არა გაქუს საფარველი შართლისა მის სარწმუნოებისა».

**ქოლო მეფემან** ჰრქუა ბერსა:

– «მე ვიდრემე მომმადლე პატივი ეგე და კმა იყავნ სირცხვილი, რომელი მიფენილ არს მაგას ზედა».

შაშინ აღდგა სრულიად ძლეული **სოსთენი,** დამხოზილი და სირცხვილეული წინაშე ყოველთასა, და განვიდა.

**წა** იყვნეს სხუანიცა სიტყუანი, ღმრთივგანბრძნობილისა ბერისა თქუმულნი, ზედა-მინეწენით არა ვიცოდნი, მარცხუენელნი და პირისდამყოფელნი უთაოთა **სომეხთანი,** რომელნი აქა არა დაინერნეს, სხუათაცა იციან წერილითაცა და სიტყვთაცა.

**ქოლო ვიდრელა ბერი იყო,** მოვიდა წინაშე **საგრატი** მეფისა ყოველნი მთავარნი და სჯუ-

ლის-მეცნიერნი **სომხთისანი** რომლისამე საქმისათვს, ხოლო ბერი წარვიდა მახლობელად კარავსა მათსა. **სხილა იგი სოსთენი** და შეუვრდა ფერვთა ბერისათა და ჰრქუა:

– «მცირედ მიგებდ, მამაო, ვიდრე მოვიდე».

თა მოიყვანნა ყოველნივე წარჩინებულნი და სჯულის-მოძღუარნი **სომეხთანი** და ჰრქუა მათ ყოველთა წინაშე ბერისა:

– «ვიცი ამპარტავნება და მამრალეზობა ნათესავისა ჩუენისა, ნუუკუე კაცად-კაცადი იტყოდენ თვსაგან, ვითარმედ: ცუდისა ვისგანმე და ბედითისა ბერისაგან იძლია **სოსთენი** და პირი დაუყო. **სწ უკუე** ესე იგი არს მონაზონი, რომლისაგან ვიძლიე და თქუენ, ყოველნი სჯულისმეცნიერნი, აქა ხართ. **ქაეცა** ვინ უწყით, სიტყუა უგეთ და, რაჟამს სავანედ ჩუენდა მივიდეთ, მუნ ნუ ბრალეულ მყოფთ».

ხოლო იგინი აღივსნეს სირცხვილითა და რეცა სხუებრ შეცვალებს სიტყუა იგი და მოიკითხეს ბერი სიხარულით და წარვიდეს და ფრიად აბრალეს **სოსთენის** შერცხვინება და ძლეულება იგი და სრულიადი დამხოზა ბერისა მიერ.

თა ესრეთ იდიდა წმიდისა ამის და იმრთის-მზრახველისა იმერთშემოსილისა მამისა **სფთვმი სრძელისა** მიერ შართლმადიდებელი სჯული და წმიდა სარწმუნოება ჩუენი, რომე-

ლი იქმნა ძეგლ შართლისა სარწმუნოებისა. **ხოლო** მეფემან დიდითა პატივითა და მონღითა სიყუარულითა ყოველითურთ სრულსა ჭეშმარიტსა იმრთის-მსახურებასა და შართალსა **სლსარებასა** და სარწმუნოებასა ზედა დაჯერებულმან და დამტკიცებულმან, წარგზავნა წმიდა ესე ბერი უდაბნოსა თვსსა.

ხოლო ყოველნივე მღდელთ-მოძღუარნი და მოსაყდრენი და წმიდანი მამანი მეუდაბნოენი და მმადლობელნი წმიდისა სახარებისანი, შამისა და ძისა და ყოვლად წმიდისა სულისანი, **სრთ-არსისა** იმრთეებისანი, აღმსარებელნი შართლისა სარწმუნოებისანი, მიეგებნეს წმიდასა ამას ბერსა და შევრდომით მოიკითხეს და კურთხევა და ამბორის-ყოფა მიიღეს მისგან და, ვითარცა დიდი და იმრთივ-მონიჭებული ნიჭი და ჭური რჩეული, შეინწყნარეს და აღვსებულნი მადლითა და სიხარულითა აკურთხევდეს და ადიდებდეს იმერთსა, **ქომელსა** ჰშუენის დიდება და დიდად შუენიერება, პატივი და თაყუანისცემა სამ-ბრწყინვალესა და **სრთარსებით** და **სრთლმრთეებით** აღსრულებულსა, ყოველთა მიმართ მორწმუნეთა შამისა და ძისა ნათლისა ყოვლად წმიდით განმანათლებელით და ცხოველს-მყოფელით სულით, ან და საუკუნეთა მიმართ დაუსრულებელთა, ამინ.

